As a typical Bournonville ballet there is a lot of mime scenes, which the Georgian dancers do very well, and scenes where the mime and the dance is blended in order to tell the story. The production is a mixture of reconstruction and recreating in the style. From her father, the late ballet master and mime Niels Bjoern Larsen, Dinna Bjoern has inherited Bournonville's original manuscript, where steps are written down for a series of the dances. When there are no indications the four directors have rechoreographed with a delicate sense for the style. There is lovely Bournonville dance in this performance. And there is fantastic folk dance from the region. In this new version Georgian folk dance is interpolated and this works marvellously.

In several ways small changes have been made to make the ballet more Georgian: the hero has gotten a Georgian name, the Cossacks have been removed from the cast list, but their dances are luckily still there and the throne in the imperial palace in Moscow has the Russian coat of arms with the double eagle, but it is overshadowed by the depiction of the Georgian patron St. George and the dragon.

The main couple was beautifully danced by Nino Gogua and Vasil Akhmeteli / Irakli Bakhtadze, but the great surprise came at the third performance, where the lovely and very young Ana Albutasvhili danced her first great ballerina role with Sebastian Kloborg, who is a solist with The Royal Danish Ballet. They gave the main couple a touching innocence.

From Siberia to Moscow was last danced in Copenhagen in 1904. Now it has got new life in Tbilisi, thanks to Nina Ananiasvhili, who invited the Danes.

ღანიიდან მოხს

ჯონათან გრეი
JONATHAN GRAY

Far from Denmark

ჟურნალ *Dancing Times* მთავარი რედაქტორი, დიდი ბრიტანეთი
Editor-in-Chief, *Dancing Times*, United Kingdom

DANCING TIMES, N1, 2010



ჯონათან გრეი თვალს ადევნებს თბილისში ავგუსტ ბურნონვილის ბალეტის „ციმბირიდან მოსკოვამდე“ აღდგენას

Jonathan Gray sees a recreation of August Bournonville's *From Siberia to Moscow in Tbilisi*

დიდი დანიელი ქორეოგრაფი ავგუსტ ბურნონვილი ორმაგად გაოცებული იქნებოდა: გაოცებული იმით, რომ მისი უკანასკნელი ბალეტი „ციმბირიდან მოსკოვამდე“ ბოლო წარმოდგენიდან საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ კვლავ იარსებებდა და მისი ხელახლა დადგმა არა კოპენჰაგენში, დანიის სამეფო საბალეტო დასისა და ბურნონვილის სტილის სახლში, არამედ თბილისში, საქართველოს დედაქალაქში შედგებოდა. თუმცა, სწორედ ასე მოხდა, როდესაც ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა გასული წლის 22 ოქტომბერს ალჰამბრას სტილის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში „ციმბირიდან მოსკოვამდე“ წარმოადგინა. დადგმის წარმოშობის ისტორია, რომელიც ბურნონვილის ხელნაწერების აღმოჩენის ამბავს მოგვითხრობს, აჩვენებს, რომ ამ ბალეტის აღდგენა ბედისწერის სურვილი იყო.

Dancing Times DT
Britain's leading dance monthly Sister magazine to *Dance Today* DANCINGTIMES.LTD

Visit our webstore to buy books, DVDs and CDs on dance

Far from Denmark
Jonathan Gray sees a recreation of August Bournonville's *From Siberia to Moscow in Tbilisi*

Home
Reviews
News
Features
Competitions
Subscribe
Retailers
Advertising
Webstore
Links
Contact us

The great Danish choreographer August Bournonville would have been amazed on two counts: amazed that after more than a century since its last performance, his final ballet, *From Siberia to Moscow*, could be seen once again on stage; and amazed that the restaging of this work would take place not in Copenhagen – the home of the Royal Danish Ballet and of Bournonville style – but in Tbilisi, the capital city of the Republic of Georgia. But that is exactly what did happen when the State Ballet of Georgia, under the artistic direction of Nina Ananiashvili, performed Frank Andersen's staging of *From Siberia to Moscow* at the Alhambra-style Paliashvili Opera and Ballet Theatre on October 22 last year. The genesis of the production, after a chance discovery of some of Bournonville's notations, suggests this was a recreation just waiting to happen.

Arabesque

ბურნონვილის მრავალი მოგზაურობა კარგადაა ცნობილი და აღწერილი მის ავტობიოგრაფიაში „ჩემი თეატრალური ცხოვრება“. ამ მოგზაურობების დროს, რომლებიც დანიისაგან მეტად განსხვავებული კულტურის მქონე ევროპულ ქვეყნებში შედგა, ქორეოგრაფს „ადგილობრივი ფერის“ შეტანის საშუალება მიეცა მის ისეთ ბალეტებში, როგორცაა „ნეაპოლი“, „ლა ვენტანა“ და „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“. ქორეოგრაფი რუსეთსაც ეწვია, სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ჩათვლით, 1874 წელს, 69 წლის ასაკში. იქ ყოფნისას ის შეხვდა მარიუს პეტიპასა და მის ყოფილ მოსწავლეს, ქრისტიან იოჰანსონს. მათთან ერთად ბურნონვილი ბალეტის ესთეტიკის საკითხებს განიხილავდა და პეტიპას ბალეტებიც ნახა, მათ შორის „დონ კიხოტი“, „ესმერალდა“ და „ფარაონის ასული“. თუმცა იგი ყველაფრით კმაყოფილი არ დარჩა, რადგან ჩათვალა, რომ ქორეოგრაფია, რომელიც მეტად განსხვავდებოდა იმისაგან, რაზეც იგი კოპენჰაგენში მუშაობდა, ზედმეტად აკრობატული და ვირტუოზული იყო. იგი განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩა ბალერინების ზედმეტად მოკლე „პარკებით“ და მათი დომინირებით მამაკაც მოცეკვავეებზე. ბურნონვილი ასევე გაეცნო უბრალო რუსების ცხოვრებას და დიდი შთაბეჭდილება შეექმნა ხალხურ ცეკვებზე, ეწვია მის იმპერატორობით უდიდებულესობას, დიდი თავადის ქალს „მარია ფეოდოროვნას“, რომელმაც, ჯერ კიდევ დანიის პრინცესა დაგმარის სტატუსში დიდ თავად ალექსანდრეზე იქორწინა 1866 წელს. დაგმარს ბავშვობაში ცეკვას ბურნონვილი ასწავლიდა და დანიური ოჯახიდან მას წერილები და საჩუქრები ჩაუტანა. ბურნონვილი ახალგაზრდა შვილებს, მათ შორის მომავალ მეფე ნიკოლოზ II-ს ნარუდგინეს.

ეს რუსული ვოიაჟი გახდა „ციმბირიდან მოსკოვამდე“ შთაგონების წყარო. ბალეტის წარმოდგენა უკანასკნელად ბურნონვილის გარდაცვალებამდე მხო-

ლოდ სამი წლით ადრე, კოპენჰაგენის სამეფო თეატრში, 1876 წელს გაიმართა. ლიბრეტო მოგვიტხოვს, რომ სმირნოვი, თავადი და მწერალი, 1790-იან წლებში, რევოლუციური იდეებისათვის ციმბირშია განდევნილი ქალიშვილ ნატალიასთან ერთად, რომელსაც ივანოვი, ასევე განდევნილი ახალგაზრდა ოფიცერი უყვარს. ივანოვს მოგვიანებით არმიაში აბრუნებენ. პირველი მოქმედების ბოლოს, კაზაკების საზიგო ცეკვების სერიის შემდეგ, ივანოვი სმირნოვსა და ნატალიას არწმუნებს, მასთან ერთად გაიქცენ ციმბირიდან. მეორე მოქმედებაში ივანოვს მეფეს წარუდგენენ მოსკოვში მის მიერ ბრძოლაში გამორჩენილი სიმამაცისათვის. იგი ჯილდოდ საიმპერატორო ბეჭედს იღებს, რომლის მეშვეობით მას ნებისმიერი სურვილი შეუსრულდება. კრემლის დიდ წვეულებაზე მეფე და მისი კარი ეროვნული ცეკვების დივერტისმენტით ტკბება, რომელიც დიდ მდინარეებს – რონას, ტემზას, გვადალკვივორს, რაინსა და ნევას წარმოადგენს. ნევას ცეკვის შემსრულებელი ნატალიაა, რომლის ცეკვა მეფეს ხიბლავს. ნატალია მას მამის შეწყალებას სთხოვს, თუმცა სმირნოვის ამოცნობისას მეფე განრისხდება და მისი შეპყრობის ბრძანებას გასცემს. ამ დროს ჩაერევა ივანოვი, რომელიც მეფისგან ნაჩუქარი ბეჭდის გამოყენებით სმირნოვს თავისუფლებას მოუპოვებს. ყველაფერი ნატალიასა და ივანოვის სიყვარულის ზეიმის ფონზე სრულდება. პანტომიმითა და სახასიათო ცეკვებით „ციმბირიდან მოსკოვამდე“ იმდენად პოპულარული იყო, რომ დანიის სამეფო საბალეტო დასის რეპერტუარში 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში რჩებოდა, თუმცა 1904 წლის წარმოდგენის შემდეგ რეპერტუარიდან გაქრა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბალეტი „დაკარგულად“ ითვლებოდა. ასე რომ მისმა მოულოდნელმა აღდგენამ თბილისში საბალეტო კრიტიკოსთა და ენთუზიასტთა საერთაშორისო საზოგადოება „ნაპოვნი“ ნაშრომის შესახებ მეტის გასაგებად შეკრიბა.

Bournonville was well-known for the extensive travels he undertook during his lifetime, accounts of which were published in his autobiography, *My Theatre Life*. These journeys to European countries and cultures very different from Denmark helped infuse his choreography with authentic and vivid “local colour” in such ballets as *Napoli*, *La Ventana* and *Flower Festival in Genzano*. The choreographer visited Russia, including St Petersburg and Moscow, in 1874 when he was 69 years old. Whilst there he met up with his colleague Marius Petipa, and his former pupil Christian Johansson. With them he discussed the aesthetics of ballet, and attended performances of a number of Petipa’s works, including *Don Quixote*, *Esmeralda* and *La Fille du Pharaon*, but he did not like all that he saw, considering the choreography – so different in style from that which he had established in Copenhagen – to be too acrobatic and virtuoso. He especially disliked the short tutus worn by the female dancers, and the domination of the women over the men. In addition, he also witnessed the everyday life of ordinary people in Russia, admired the folk dancing he saw, and, in complete contrast, paid a visit to Her Imperial Highness Grand Duchess Maria Feodorovna, who, as Princess Dagmar of Denmark, had married the Tsarevich, the Grand Duke Alexander, in 1866. Princess Dagmar had been taught dancing by Bournonville as a child, and for their happy reunion he brought her letters and presents from her Danish family and was introduced to her young children (including the future Tsar Nicholas II).

This Russian visit became the inspiration for *From Siberia to Moscow*, first performed just three years before Bournonville died, at the Royal Theatre, Copenhagen, in 1876. The original synopsis tells of how Smirnov, a nobleman and writer, is exiled to Siberia in the 1790s for his revolutionary ideals, along with his daughter, Natalia. She is in love with Ivanov, a young exiled officer, who later receives an Imperial repeal summoning him back to the army. At the end of Act I, after a series of



„ციმბირიდან მოსკოვამდე“ სპეციალურად საქართველოს სახელმწიფო ბალეტისათვის იქნა დადგმული ფრენკ ანდერსენის, ბურნონვილის ბალეტების ყოფილი მოცეკვავისა და დანიის სამეფო საბალეტო დასის ბალეტმაისტერის (იხ. *Dancing Times*, აგვისტო 2009) მიერ, ბურნონვილის მოცეკვავეების მეტად გამოცდილ ჯგუფთან – დინა ბიორნთან, ევა კლობორგთან და ან მარი ვესელ შლიუტერთან ერთად. ბალეტის დასადგმელად ისინი საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დიდი თეატრის საბალეტო დასის ყოფილმა პრიმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა მოიწვია. თვალისმომჭრელი კარიერის განმავლობაში ანანიაშვილმა კოპენჰაგენშიც იცეკვა, დანიის სამეფო საბალეტო დასში, სადაც ბურნონვილის სტილი შეისწავლა. ის ერთადერთი უცხოელი მოცეკვავე გახდა, რომელმაც დანიურ სცენაზე „ნეაპოლი“, „სილფიდა“ და „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“ იცეკვა. დანიაში ყოფნისას ის ანდერსენის ახლო მეგობარი გახდა და ბურნონვილის სტილის მიმართ სიყვარულიც შეინარჩუნა. ქართული დასის სათავეში მოსვლიდან სულ მალე მან ანდერსენი თბილისში ბურნონვილის რამდენიმე კლასიკური ნაშრომის დასადგმელად მიიწვია – „კონსერვატორია“, პა და დე ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“ და მშვენიერი „ჟოკეების ცეკვა“ – „ციმბირიდან მოსკოვამდე“ ერთადერთი შემორჩენილი ნაწილი.

„ჩვენ სამყაროს ბურნონვილის დაკარგულ ნაშრომს ვუბრუნებთ“ – ამბობს ანდერსენი, რომელსაც იმედი აქვს, რომ ეს აღდგენა დაამტკიცებს, რომ ბალეტს აქვს უფლება, კვლავ იყოს რეპერტუარში. „ეს არა

რეკონსტრუქცია, არამედ ხელახლა შექმნაა, რამაც ბურნონვილის ბალეტის აღდგენისას გარკვეული თავისუფლება მომცა. იდეა ჩემს გონებასა და გულში სამი-ოთხი წლის განმავლობაში მზადდებოდა“. ის ამკარად კმაყოფილი იყო თბილისში მუშაობით და შთაბეჭდილების ქვეშ იყო იმ ადამიანთა მონდობით, რომლებიც ჩართულნი იყვნენ დადგმის პროცესში. „ყველა, ვისაც გუნდში ჩართვის წინადადებით მივმართე, მაშინვე დამეთანხმა. დინა ბიორნი მეორე მოქმედების დივერტისმენტზე იყო პასუხისმგებელი, რომლებიც მამამისის არქივში შემორჩენილ მასალებზეა დამყარებული. ან მარი ვესელ შლიუტერი პირველი მოქმედების სოლოებსა და პა და დე დეებზე მუშაობდა, ევა კლობორგი კი მიმანსსა და პირველი მოქმედების კაზაკების ცეკვაზე. მე ჩემი მხრივ ზოგად ხელმძღვანელობას ვახორციელებდი. ეს ნამდვილი თანამშრომლობა იყო და მეტად სახალისო სამუშაო, დანყებული მხოლოდ ერთი ფურცლიდან!“

ამ ფურცელმა – ბურნონვილის ხელით გაკეთებულმა ჩანაწერებმა მეორე მოქმედების დივერტისმენტზე — ნარსულთან დამაკავშირებელი ჯაჭვის როლი ითამაშა და დადგმას სინამდვილის შეგრძნება შემატა. დინა ბიორნმა, დანიელი მოცეკვავისა და ბალეტმაისტერის, ნილს ბიორნ ლარსენის ქალიშვილმა, ბურნონვილის ჩანაწერები მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი საარქივო მასალის 600 ყუთს შორის აღმოაჩინა. მამამისს ჩანაწერები ერთმა ბალეტმაისტერმა გადასცა, რომელმაც ისინი თვით ბურნონვილისაგან მიიღო. როდესაც ანდერსენმა ბიორნს ბალეტის აღსადგენად მასალების მოძიების იდეით მიმარ-

celebratory Cossack dances, Ivanov persuades Natalia and Smirnov to escape from Siberia with him. Moving to Moscow for Act II, Ivanov is presented to the Tsar as a reward for the bravery he has shown in battle, and is bestowed with an Imperial ring for which he can claim anything his heart desires. At a grand ball in the Kremlin, the Tsar and his court are entertained with a divertissement of national dances that depict great rivers – the Rhone, the Thames, the Guadalquivir, the Rhine and the Neva. The dancer who appears as the Neva is, in fact, Natalia in disguise, and her dancing charms the Tsar. She pleads with him to pardon her father, but when he discovers it is Smirnov, the Tsar is indignant and orders him to be taken away. Ivanov intercedes and using his Imperial ring, gains Smirnov his freedom. Natalia and Ivanov proclaim their love, and all ends happily ever after. With its mime scenes and lively character dances, *From Siberia to Moscow* was so popular it continued to be performed by the Royal Danish Ballet for over 25 years, but vanished from the repertoire after performances in 1904. For years, the ballet was considered “lost”, so its surprise reappearance in Tbilisi gathered an international audience of dance writers and enthusiasts keen to discover more about the ballet that had been “found”.

From Siberia to Moscow has been recreated specifically for the State Ballet of Georgia by Frank Andersen, the former Bournonville dancer and ballet master of the Royal Danish Ballet (see *Dancing Times*, August 2009), along with a team of highly experienced Bournonville dancers including Dinna Bjoern, Eva Kloborg, and Anne Marie Vessel Schlueter. The invitation to stage the ballet came from the State Ballet's artistic director, Nina Ananiashvili, the Georgian-born former prima ballerina of the Bolshoi Ballet. During her illustrious career, Ananiashvili danced with the Royal Danish Ballet in Copenhagen, where she studied the Bournonville style at its source and became the only foreign guest artist to appear on the Danish stage in *Napoli*, *La Sylphide* and *Flower Festival at Genzano*. Whilst there, she became firm friends with Andersen, and has retained her passion for Bournonville ever since. Shortly after becoming director of the Georgian company, Ananiashvili commissioned Andersen to revive a number of classics from the Bournonville repertoire, including *Le Conservatoire*, the pas de deux from *Flower Festival at Genzano* and the delightful “Jockey Dance” – until now the only item to have survived *From Siberia to Moscow*.

თა, მან უპასუხა: „როგორ შეიძლება ამის მოძიება? მგონი ეს შეუძლებელი იქნება“, თუმცა პირველივე გახსნილ ყუთში მან ეს ჩანაწერები აღმოაჩინა – „თითქოს ისინი სწორედ ამას ელოდნენ. ყველა საბალეტო ნაბიჯი ფრანგულადაა ჩანიშნული, დიაგრამებით. ცეკვის აღდგენის პროცესში თითქოს ბურნონვილის ხელი მეჭირა. ჩანაწერებში არაა აღნიშნული, როგორ შეესაბამება ისინი მუსიკას, ამიტომ მათ აღდგენას ბურნონვილის სტილის ცოდნა და წარმოსახვის უნარი სჭირდება. ყველაზე ზუსტად დადგმული ნაწილი ესპანური ცეკვაა, თუმცა რაინის ნაწილში [რომელიც თავდაპირველ ვერსიაში წყვილისა და პროცესიისათვის იყო დადგმული] ახლა კორდებალეტი მონაწილეობს“. ბალეტის მუსიკა, რომელიც კარლ ქრისტინა მიოლერს ეკუთვნის, კოპენჰაგენის სამეფო ბიბლიოთეკაში იქნა მოძიებული.

ანდერსენი ამბობს: „მთელი ცხოვრების განმავლობაში ბურნონვილის სტილზე მუშაობის შედეგად ჩვენ [გუნდი] შევეცადეთ ბალეტი შესაბამისი, თუმცა დღევანდელობასთან მიახლოებული გამოსულიყო. ბალეტში მოქმედება 1790-იანებიდან 1874 წელს გადმოვიტანე, რათა ბურნონვილის რუსეთში ვიზიტს დამთხვეოდა. პეტიპასა და ბურნონვილის შეხვედრა ორი გიგანტის თანხვედრა იყო და ჩემთვის ამ ბალეტის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი შთაგონების წყარო გახდა, ისევე, როგორც ბურნონვილის ვიზიტი პრინცესა დაგმართან. შევითვალ, რომ პეტრე ჩაიკოვსკიმ დაგმარის ქორწინებისათვის საზეიმო უვერტიურა შექმნა – მას ახლა ბალეტის უვერტიურად გამოვიყენებთ“.

„დღევანდელობასთან მიახლოება“ თავდაპირველ ლიბრეტოსთან შესაბამისობასთან ერთად, საქართველოს ახლანდელი პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინებას ნიშნავდა. ქართველები 2008 წლის აგვისტოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ რუსეთის მიმართ უარყოფითად არიან განწყობილები (თბილისის ერთ-ერთ სახლზე ინგლისური წარწერა “Fuck Russia” ამოვიკითხე). თუმცა „რუსული“ კონტექსტი ამ ნაშრომში შემსუბუქებულია. ზოგიერთ გმირს, მაგალითად ივანოვს, სახელი აქვს შეცვლილი, პირველი მოქმედების კაზაკთა ცეკვა კი „კავკასიური“ ცეკვებითაა ჩანაცვლებული, რომელმაც პრემიერაზე მაცურებლის აღფრთოვანება გამოიწვია. თუმცა საერთო ჯამში ბალეტი ბურნონვილის ნაშრომის შთაბეჭდილებას ტოვებს, თანაც შარმიანის. მიმზიდველი და იდეასთან შესაბამისი დეკორაციებისა და კოსტიუმების მხატვრობა დავით მონავარდისაშვილსა და ალექსანდრე ვასილიევს ეკუთვნის.

როგორი იყო 2009 წლის „ციმბირიდან მოსკოვამდე“? ჩაიკოვსკის მაღალფარდოვანი უვერტიურის შემდეგ ფარდა იწევა და ჩვენ ბურნონვილისა და პეტიპას შეხვედრის მომსწრეები ვხდებით, რასაც ციმბირში სმირნოვის სახლში გამართული სცენა მოჰყვება, გრძელი, თუმცა გასაგები მიმანსით მთავარ გმირებს შორის. ნატალია მშვენიერ რუსულ სოლოს ცეკვავს ბევრი ნახტომით (ყიზელის მსგავსად მასაც უყვარს ცეკვა), ყიფიანი (ივანოვი) კი ნაღვლიან სოლოს ცეკვავს გაშლილი მკლავებითა და არაბესკებით. ყიფიანის შეწყალება საზეიმო და გამომაცოცხლებელი

კავკასიური ცეკვებით აღინიშნება, რომელშიც ძირითადად მამაკაცები მონაწილეობენ, პატარა ყმაწვილების ჩათვლით, რომლებიც განსაკუთრებულ ილეთებს ასრულებენ ქართული ხალხური ცეკვისათვის დამახასიათებელი ცერებზე ცეკვით. ეს სცენა ყიფიანის, ნატალიასა და სმირნოვის გაქცევით სრულდება.

მეორე მოქმედება სამეფო სასახლეში იწყება, სადაც კვლავ გამეორებული პანტომიმის გრძელი სცენები სცენარს ხსნიან. სრულიად სამეფო კარის მიერ შესრულებული დიდი პოლონეზის შემდეგ ბახუსისა და უნდინების ცეკვით იწყება მდინარეების დივერტისმენტი. რონა წამყვანი წყვილისა და კორდებალეტის მიერაა წარმოდგენილი, ტემზას კი „ჟოკეების ცეკვა“ აჩვენებს, რომელშიც ორი კომიკური მამაკაცის ნაცვლად ორი კეკლუცი ბალერინა ცეკვავს. გვადალკვივირი სამი ესპანელი ქალის ცეკვაა, რაინისა კი – წამყვანი წყვილისა, კორდებალეტთან ერთად. ბოლოს, ნევას წარმოდგენს ნატალია, მშვენიერი რუსული სოლოთი, რასაც მოკლე, თუმცა დრამატული სცენა მოჰყვება ბალეტის სწრაფ და ბედნიერ დასასრულამდე.

დიდი სიამოვნება მივიღე ამ წარმოდგენით, რომელიც არა მხოლოდ საინტერესო, არამედ საქართვე-

ლოს სახელმწიფო ბალეტის მოცეკვავეების სადემონსტრაციოც გამოდგა. იმის მიუხედავად, რომ ამ ბალეტის რეპერტუარში საბოლოოდ დამკვიდრებაში არ ვარ დარწმუნებული, მეტად მომეწონა მიმიკის სცენები (რომლებიც ძალიან კარგად იყო მომზადებული), ისევე როგორც 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არსად დადგმული ბალეტის ხილვა. სცენარი ძლიერია, გადმოცემა – გასაგები, თუმცა ის არაა ისეთი ჩამთრევი, როგორც „სილფიდა“ ან „ნეაპოლი“ – გმირები ნაკლებად დამუშავებულნი არიან და ცეკვაც არაა იმდენად საზეიმო და გამომაცოცხლებელი. დასის ბალერინები კარგი, ძლიერი მოცეკვავეები არიან, თუმცა მამაკაცებს – ყიფიანის როლის შემსრულებელი ვასილ ახმეტელისა და ირაკლი ბახტაძის გამოკლებით – პროგრესი სჭირდებათ, რომ საერთაშორისო დონეზე ავიდნენ. დასს ნინო გოგუას სახით მშვენიერი მოცეკვავე ჰყავს, რომელმაც ჩემს მიერ ნანახ ორივე წარმოდგენაზე იცეკვა ნატალიას პარტია. გოგუას ცეკვას სინათლე და ჩრდილი გააჩნია, ნიუანსთან, ფეხების დინამიკურ მუშაობასა და ბურნოვილის სტილის შეგრძნებასთან ერთად. დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ქორეოგრაფი კმაყოფილი დარჩებოდა მისით და იმით, რომ მისი ერთ-ერთი „დაკარგული“ ბალეტი ხელახლა იქნა აღმოჩენილი.



შოკეების ცეკვა მდინარეების დივერტისმენტისა (ტემზა), ანა გორგიანიშვილი, ვიკა კირაბიძე
THE JOCKEY DANCE FROM THE RIVERS DIVERTISSEMENT (THAMES), ANNA GORGIAHVILI, VIKA KIRABIDZE

“We are returning a lost Bournonville work to the world”, says Andersen, who hopes this recreation of *From Siberia to Moscow* will prove the ballet has the right to live again. “This is not a reconstruction, but a recreation, which has given me the freedom to choreograph the ballet in the style of Bournonville. It has been in my head and my heart for three or four years”, he said. He was clearly excited to be working in Tbilisi, and impressed by the commitment of those working on the production, not least by the passionate support and advocacy given him by Ananiashvili. “Everybody I asked said ‘yes’ to being part of the team”, Andersen stated. “Dinna Bjoern has been responsible for the Act II divertissements, which are based on the notations found in her father’s archive. Anne Marie Vessel Schlueter worked on the solos and the pas de deux in Act I, and Eva Kloborg staged the mime and the Act I Cossack dance, whilst I took an overview of the whole production. It has been a real collaboration, and very exciting starting from scratch with just one piece of paper!”

That one piece of paper – notations for the Act II divertissement written in Bournonville’s own hand – proved a vital link with the past, and provided the production with a strong feeling of authenticity. Dinna Bjoern, daughter of the distinguished Danish dancer and ballet master, Niels Bjoern Larsen, discovered the Bournonville notations amongst the 600 boxes of archival material she inherited after his death. He had been given the notations by a former ballet master, who had in turn been given them by Bournonville. When asked by Andersen if she could locate any material relating to *From Siberia to Moscow* to help the recreation, she said to him, “How can I find it? I think it is impossible”, but in the first box she opened, she discovered the notations, “...as if they were waiting to be found for this revival. All the ballet steps are written in French, with diagrams. It was almost as if, when I was recreating the dances, I was holding Bournonville’s hand. The notations do not really say how they match up to the music, so putting it all together needs a lot of knowledge of Bournonville’s style and a bit of imagination to make it work. The most accurately staged number is the Spanish dance, but the Rhine dance [originally for one leading couple and a procession of extras] now has a corps de ballet added”. The tuneful score for the ballet, by Carl Christian Moeller, was found in Copenhagen’s Royal Library.

Andersen says that, “Working with the Bournonville style all our lives, we [the team] have attempted to make the ballet authentic but clearly of today. I have moved the period of the ballet forwards from the 1790s to 1874 to coincide with Bournonville’s visit to Russia. The meeting between Petipa and Bournonville was a meeting of two giants, and has been one of the greatest inspirations for me in the recreation of this ballet, as was Bournonville’s visit to Princess Dagmar. I discovered Pyotr Ilyich Tchaikovsky had composed a celebratory overture to mark the occasion of Dagmar’s wedding, and we will use it now as an overture to the ballet. All these things will be included in the new libretto, and will come alive on stage”.

Making things “clearly of today” meant that, although Andersen sticks fairly closely to the original libretto, he has had to compromise, to a certain extent, to the current political climate in Georgia. Georgians feel passionately defiant of Russia following the conflict between the two countries in August 2008 (one piece of graffiti I saw on a building in Tbilisi said – in

English – “Fuck Russia”). “Russian-ness”, therefore, has been downplayed. Some of the characters, such as Ivanov, have been provided with new names, and the original Act I Cossack dances have been replaced with a “Caucasian” dance that had the opening night audience in raptures. On the whole, though, the ballet did feel like an authentic Bournonville work, and a charming one. The attractive and appropriate set and costume designs are by David Monavardisashvili and Alexander Vasilyev.

What was the 2009 *From Siberia to Moscow* like? Well, following Tchaikovsky’s florid overture, the curtain rises to reveal Petipa meeting Bournonville. Petipa tells Bournonville the beginning of the story of Smirnov, and the scene dissolves to show the interior of a palatial log cabin in Siberia, where lengthy but entirely comprehensible mime between the main characters clearly elucidate their moods and actions. Natalia dances a delightful Russian flavoured solo with lots of beaten jumps (like Giselle, she appears to love to dance), and Kipiani (as Ivanov is now called) dances a yearning solo with outstretched arms and arabesques. Kipiani’s pardon is celebrated with an exhilarating and rousing Caucasian Dance performed mainly by the male dancers, including a group of small boys whose extraordinary feats on pointe are typical of Georgian folk dancing. The dancing ends in scenes of drunkenness, during which Kipiani, Natalia and Smirnov make their escape in a sleigh.

Act II opens at the Royal Palace with more lengthy mime that swiftly dispatches much of the remaining plot before the dancing at the Court Ball begins. After a grand polonaise danced by the entire court, the divertissement of the rivers begins with a dance for Bacchus and a group of Ondines. The Rhone is depicted by a leading couple and a small corps of dancers dressed in tricolours, and the Thames is represented by the “Jockey Dance” – unfortunately and mistakenly danced here by two coquettish women rather than two comical men. The Guadalquivir is a dance for three Spanish ladies, and in the dance for the Rhine, a lead couple, accompanied by a large corps de ballet, are toasted by a child Bacchus. Finally, to represent the Neva, Natalia dances a charming Russian solo, followed by a short but dramatic mime scene that brings the ballet to a swift and happy conclusion.

I thoroughly enjoyed *From Siberia to Moscow*, which proved not only entertaining, but a good introduction to the dancers of the State Ballet of Georgia. Although I am not yet convinced the ballet will make a major return to the repertoire, I loved seeing the mime scenes (which were very well done) and witnessing a ballet that had not been seen for over 100 years. The story is strong and clearly told, but it is not as engaging as either *La Sylphide* or *Napoli* – the characters are less well developed, and the dancing is not as joyously exhilarating. The women of the company are good, strong dancers, but the men – with a few notable exceptions including Vasil Akhmeteli and Irakli Bakhtadze, who both danced Kipiani – need to up their game to be able to compete internationally. The company, however, has a lovely ballerina in Nino Gogua, who danced Natalia at both performances I saw (she replaced an injured Ananiashvili on the second night). Gogua’s dancing has light and shade, nuance, springy footwork and a wonderful feeling for Bournonville style. I’m sure the master himself would have been delighted with her, and happy that one of his “lost” ballets has been rediscovered.



ოთხი დღე თბილისში

საქართველოს სახელმწიფო ბალეტთან ერთად*

Four Days In Tbilisi

WITH THE STATE BALLET OF GEORGIA*

მარგარეტ უილისი
MARGARET WILLIS

ბალეტის კრიტიკოსი,
დიდი ბრიტანეთი
Ballet critic, United Kingdom

BALLET.CO.UK

თბილისში წინო ანანიაშვილის მოწვევით ჩამოვედით, ბურნონვილის დაკარგული ბალეტის სანახავად, რომელიც დანიის სამეფო საბალეტო დასის ყოფილი ხელმძღვანელის ფრენკ ანდერსენისა და საქართველოს სახელმწიფო ბალეტის მიერაა აღდგენილი. საინტერესოა, რომ ბალეტის მოქმედება მთლიანად რუსეთში ხდება – ეს არც ისე პოპულარული თემაა დღევანდელ საქართველოში. თუმცა, მალევე შევიტყვეთ, რომ დადგმის გეგმა სამი წლის წინ დაისახა, 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარ კონფლიქტამდე დიდი ხნით ადრე.

„ციმბირიდან მოსკოვამდე“ ავგუსტ ბურნონვილის უკანასკნელი ბალეტი იყო და პრემიერა 1876 წლის 29 ნოემბერს ჰქონდა დანიის სამეფო თეატრში, კოპენჰაგენში. მისი უკანასკნელი წარმოდგენა 1905 წელს მოხდა. ამ ოქტომბერს ის კიდევ ერთხელ დაიდგა და მასზე დასასწრებად თბილისში რამდენიმე დასავლელი კრიტიკოსიც იქნა მოწვეული.

ამ პატარა, თუმცა დინამიურ ქვეყანაში, რომელიც რუსეთსა და თურქეთს ესაზღვრება, პირველი საბალეტო წარმოდგენა 1852 წელს შედგა. საბალეტო სკოლა მე-20

* იბეჭდება მცირე შემოკლებით
Printed as a shortened version

We had come to Tbilisi at the invitation of Nina Ananiashvili to see a lost Bournonville ballet, re-staged by the Royal Danish Ballet's ex-director, Frank Andersen for the State Ballet of Georgia. Interestingly, all the ballet action takes place in Russia - not the most popular of subjects these days in Georgia. However we were quickly informed that the plans for this production had been forged three years ago, long before Russia and Georgia locked horns in August 2008.

From Siberia to Moscow, was the last ballet created by August Bournonville and had premiered on November 29th 1876 at the Royal Danish Theatre in Copenhagen and was last performed there in 1905. This October it was staged once more and a few western critics were invited to see it.

The small but dynamic country that borders Russia and Turkey saw its first ballet performances in 1852. A school was established at the beginning of the 20th century and one pupil, Vakhtang Chabukiani, became one of the Kirov's greatest male dancers before returning to Tbilisi to manage the Georgian company. In the 1970's the company was run by Giorgi Aleksidze; in the '80's by the Bolshoi principal, Mikhail Lavrovsky. Five years ago, the mantle was passed to Nina Ananiashvili who has inspired not just the company, but also the whole country with her dedication, devotion and incredible success in putting the Georgian State Ballet on the international ballet map.

Making good use of the excellent connections formed during her own international ballet career, she has brought many of today's top young choreographers to Georgia - Alexei Ratmansky, Trey McIntyre, Yuri Possukhov and Stanton Welch - and has mounted classic ballets from several disciplines. She has strengthened and refined her dancers, as was seen at the Edinburgh Festival in 2008 where they demonstrated their versatility and talent with these different techniques.

Most impressively, she has added an incredible average of five new productions each season and the repertoire is now rich. For example, Ashton's *La Fille mal Garde*, *Two Pigeons*, and *Marguerite and Armand* as well as many Balanchine ballets including *Bugaku* and *Mozartiana*. Her Danish connections have produced *Flower Festival in Genzano*, *La Sylphide*, *Le Conservatoire* and now *From Siberia to Moscow*.

საუკუნის დასაწყისში დაარსდა, რომლის მოსწავლეთაგან ერთ-ერთი, ვახტანგ ჭაბუკიანი მოგვიანებით კიროვის ერთ-ერთი საუკეთესო მამაკაცი მოცეკვავე გახდა. შემდეგ იგი ქართულ ბალეტს ხელმძღვანელობდა, სანამ დასს 1970-იან წლებში გიორგი ალექსიძე ჩაუდგებოდა სათავეში; 80-იანებში დასს დიდი თეატრის წამყვანი მოცეკვავე მიხეილ ლავროვსკი უძღვებოდა. ხუთი წლის წინ ეს ადგილი ნინო ანანიაშვილმა დაიკავა.

საკუთარი საერთაშორისო საბალეტო კარიერის განმავლობაში დამყარებული კავშირების გამოყენებით ანანიაშვილმა საქართველოში დღევანდელი საუკეთესო ახალგაზრდა ქორეოგრაფები ჩამოიყვანა – ალექსეი რატმანსკი, თრეი მაკინტაიერი, იური პოსუხოვი და სტანტონ უელში. ანანიაშვილმა გააძლიერა და დახვეწა მისი მოცეკვავეები, რაც ნათლად გამოჩნდა ედინბურგის 2008 წლის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მათ მრავალმხრივობა და ნიჭი გამოავლინეს.

ყველაზე განსაკვირვებელი ანანიაშვილის მიერ დასისტვის წარმოუდგენელი ტემპის დაწესება იყო – ხუთი ახალი დადგმა ყოველ სეზონზე, რისი შედეგიცაა მდიდარი რეპერტუარი. მაგალითისათვის ეშტონის „ამო სიფრთხილე“, „ორი მტრედი“ და „მარგარიტა და არმანი“ გამოდგება ბალანჩინის მრავალ ბალეტთან, მათ შორის „ბუგაკუსა“ და „მოცარტიანასთან“ ერთად. დანიური კავშირების შედეგი იყო „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“, „სილფიდა“, „კონსერვატორია“ და ახლა უკვე „ციმბირიდან მოსკოვამდე“.

პირველი დღე

მსუბუქი საუზმის შემდეგ (სასტუმრო საცხე იყო რეჟისორებით, გადამღები ჯგუფებით, მსახიობებით – ენდი გარსიასა და დინ კეინის ჩათვლით – რომლებიც შარშანდელი ომის თემაზე ჰოლივუდურ ბლოკბასტერზე „საქართველო“ მუშაობდნენ) ფალიაშვილის სახელობის თეატრში გავემართეთ და დარბაზებში ავედით,



ფრანკ ანდერსენი და დინა ბიორნი პრემიერაზე
FRANK ANDERSEN AND DINNA BJOERN ON THE PREMIERE



ნინო ანანიაშვილი პრემიერაზე
NINA ANANIASHVILI ON THE PREMIERE

DAY ONE

After a lively breakfast (our hotel was filled with the directors, crew, actors – including Andy Garcia and Dean Kane – and muscular extras who were on location making a Hollywood blockbuster to be released next spring about last year’s war, and aptly called ‘Georgia’), we set off for the Paliashvili Theatre and wound our way up to the studios where we watched company class given by Maia Zurashvili. She started with many gentle warming up exercises, allowing the dancers to slowly get every muscle moving. There were around forty dancers – the other half of the company was in another studio – from corps to principals. All are Georgian except for a few – one boy from Kazakhstan, a New Zealander who joined the company in February, and two British lads who joined this season. Nina was also in class at the back barre wrapped in plastic warm-ups and a wrap-around cardigan. While she watched herself in the mirror, she also kept an eagle on her dancers and gave orders from the barre in a mix of Georgian, Russian and English; “stretch your foot more”; keep your turn-out; tighten your legs; pull up” etc. She missed nothing! Though she has danced her last with American Ballet Theatre, she still regularly performs with the company and as a guest with other companies – though sadly she had an injury and was unable to dance in the new Danish ballet. In class she looked just as good as in all the years I have been watching her (30 and counting). Her line is still gracious, her feet wonderful, her balance and poise remarkable and she doesn’t look any older! Somehow, teacher Maia managed to keep the exercises coming despite the loud corrections going on behind her.

DAY TWO

After another star-filled breakfast, there was a short visit to Mtatsminda Church, and lunch at the Italian Ambassador’s residence – his wife is the new chairman of Friends of The Georgian Ballet. Then it was off to a concert at the Rustaveli Theatre by the ballet school students. Though they had only been back at school for three weeks, the pupils put on a terrific show for us demonstrating good teaching. We were treated to classical, character and national dances from students aged six to sixteen. We returned to the theatre for a more comprehensive press conference. Ilia Tavberidze, the editor of the ballet magazine Arabesque gave a short history on the theatre and the ballet company then Erik Ashengreen talked about Bournonville and his connections with Petipa and Russia. Next Frank Andersen whose connection with the Danish ballet began when he was seven years old and continues today, told us the remarkable history behind his reconstruction of *From Siberia to Moscow*, and the story of its phoenix-like rebirth was as fascinating as the scenario.

სადაც ვიხილეთ კლასი მაია ზურაშვილის ხელმძღვანელობით. მან მსუბუქი გასახურებელი ვარჯიშებით დაიწყო დამოცეკვავეებს ყველა კუნთის ამუშავების საშუალება მისცა. გარშემო დაახლოებით ორმოცი მოცეკვავე იყო, წამყვანი სოლისტებით დაწყებული და კორდებალეტით დამთავრებული. დასის მეორე ნახევარი სხვა დარბაზში მუშაობდა. ყველანი ქართველები არიან, რამდენიმეს გარდა – არის ყმაწვილი ყაზახეთიდან, ზელანდიელი, რომელიც დასს თებერვალში შეუერთდა, და ორი ბრიტანელი, რომლებიც მიმდინარე სეზონში ჩამოვიდნენ. ნინოც კლასზე იყო, ერთ-ერთ უკანა ძელთან, გასახურებელ კოსტიუმში. ის მოცეკვავეებს მითითებებს ქართულის, რუსულისა და ინგლისურის ნაერთში აძლევდა: „ფეხი მეტად გამართე“; „შეინარჩუნე ბრუნე“; „ფეხები ახლოს დაიჭირე“; „გასწორდი“ და ა.შ. არაფერი გამოუტოვებია! მან ამერიკის საბალეტო თეატრში უკანასკნელი წარმოდგენა უკვე იცეკვა, თუმცა ქართულ დასში, ისევე, როგორც სხვა დასებთან, ცეკვას აგრძელებს. თუმცა, სამწუხაროდ, ახალ დანიურ ბალეტში ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა. კლასზე ის ისევე კარგად გამოიყურებოდა, როგორც მთელი იმ პერიოდის განმავლობაში (უკვე 30 წელიწადი), რაც მას თვალყურს ვადევნებ. მისი ხაზები ისევე გრაციოზულია, ფეხები მშვენიერი, ბალანსი და წონასწორობა შესანიშნავი და ამასთან ერთად სულაც არ ეტყობა ასაკი!

მორიგ დღე

მორიგ ვარსკვლავურ საუზმეს მთაწმინდის ეკლესიაში ვიხიტი მოჰყვა, შემდეგ კი იყო ლანჩი იტალიის ელჩის რეზიდენციაში – მისი მეუღლე ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების ახალი თავმჯდომარეა. შემდეგ რუსთაველის თეატრში გავემართეთ, სადაც საბალეტო სკოლის სტუდენტების წარმოდგენას დავესწარი. იმის მიუხედავად, რომ ისინი სკოლაში სამი კვირის დაბრუნებულები იყვნენ. მათ ბრწყინვალე წარმოდგენა მოაწყვეს, რომელშიც ცოდნის დემონსტრირება მოახდინეს. ვიხილეთ როგორც კლასიკური, ასევე სახასიათო და ნაციონალური ცეკვები ექვსიდან თექვსმეტ წლამდე სტუდენტების შესრულებით. თეატრში პრესკონფერენციისათვის დავბრუნდით. საბალეტო ჟურნალის რედაქტორმა ილია თავბერიძემ თეატრისა და დასის მოკლე ისტორია მოგვითხრო, შემდეგ კი ერიკ აშენგრინმა ისაუბრა ბურნონვილსა და პეტიპასთან და რუსეთთან მის კავშირებზე. ამას ფრენკ ანდერსენის გამოსვლა მოჰყვა, რომლის კავშირი დანიურ ბალეტთან შვიდი წლის ასაკიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. მან „ციმბირიდან მოსკოვამდე“ ალდგენის საინტერესო ისტორია გადმოსცა, რომელშიც ჩანს, რომ ბალეტის ფენიქსის მსგავსი ალდგენა მისი სცენარივით იპყრობს ყურადღებას.

ანდერსენი და ანანიაშვილი ერთმანეთს ოც წელზე მეტი ხანია იცნობენ და ერთადაც უმუშავიათ. საქარ-

თველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის ადგილის დაკავების შემდეგ ცნობილმა ბალერინამ ანდერსენს განუცხადა, რომ სურდა დაედგა დანიური ბალეტი, რომელიც არსად სხვაგან არ სრულდებოდა.

ფრენკის შეთავაზება „ციმბირიდან მოსკოვამდე“ ალდგენაში მდგომარეობდა, იმის მიუხედავად, რომ 1905 წლის წარმოდგენის შემდეგ მცირე მასალა იყო დარჩენილი – ლიბრეტოს მხოლოდ ერთი გვერდი და 1905 წლის „უოკეების ცეკვის“ ჩანაწერი მეორე მოქმედებიდან, რომელიც ანდერსენს 1970-იანებში ჰქონდა აღდგენილი.

ბალეტის აღდგენაზე მასთან ერთად დინა ბიორნი მუშაობდა, რომლის მამაც დანიის სამეფო საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო თორმეტი წლის განმავლობაში. მისი საბალეტო არქივი 650 ყუთში ინახებოდა მათ ბინაში და პროექტის წარმატების ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს, რომ პირველივე გახსნილ ყუთში დინამ „ციმბირიდან მოსკოვამდე“ ბურნონვილის ხელით შესრულებული ჩანაწერების ყვითელი ფურცელი აღმოაჩინა. სამწუხაროდ, დიდი მასალა არ არსებობდა – მხოლოდ რამდენიმე საცეკვაო ინსტრუქცია, პირველი მოქმედების კოსტიუმების ინფორმაცია და დეკორაციების გაფორმების ნაწილი. შემდეგ მოხდა კიდევ ერთი აღმოჩენა – ჰანს ქრისტიან მიოლერის მუსიკის დედანი, რომელსაც 1904 წლის შემდეგ არ შეხებოდნენ. ამიტომ გადაწყდა, რომ ეს არა სრული აღდგენა იქნებოდა, არამედ ბურნონვილის ფასეულობებისა და ტექნიკის ცოდნის გამოყენება. ანდერსენის, ბიორნის, ან მარი ვესელ შლიუტერისა და ევე კლობორგის გამოცდილებითა და ცოდნით, ბალეტმა ნელ-ნელა გაცოცხლება დაიწყო.

მესამე დღე და პრემიერის საღამო

ვისაუზმე ალექსანდრე ვასილიევთან, კოსტიუმების დიზაინერთან. ის მეტად მხიარული პიროვნებაა და ცნობილ ადამიანებზე საოცარ ამბებს ჰყვება. სიცოცხლს ვერ ვიკავებდით. მას ნინოსთან უკვე სამჯერ უმუშავია და რუსულ მოდაზე 20 წიგნის ავტორია, რომლებიც „ცხოვრების საშუალებას აძლევს!“

საღამოს 7 საათზე საბოლოოდ შევაბიჯეთ მშვენიერ თეთრ-ოქროსფერ თეატრში, რომელიც 1,064 მაყურებელს იტევს. ფარდა მოსკოვის კრემლის მოედნის გამოსახულებას აჩვენებდა, წითელ ფორმაში გამონყობილი ცხენზე შემჯდარი ოფიცრებითა და ადგილობრივი მაცხოვრებლებით. კ. ქ. მიოლერის ოპერეტის სტილის მუსიკასთან ერთად, ანდერსენმა გადაწყვიტა, რომ შესაფერისი იქნებოდა საღამოს დაწყება ჩაიკოვსკის ნაშრომით „ფესტივალის უვერტიურა დანიის ნაციონალურ ჰიმნზე“ და დირიჟორი დავით



ფრანკ ანდერსენი და ნინო ანანიაშვილი
FRANK ANDERSEN AND NINA ANANIASHVILI



ნინო ანანიაშვილი და სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მოსკოვის აკადემიური მუსიკალური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი სერგეი ფილინის დასის მოცაპეავენთან
NINA ANANIASHVILI AND ARTISTIC DIRECTOR OF THE STANISLAVSKY AND NEMIROVICH-DANCHENKO MOSCOW ACADEMIC MUSIC THEATRE BALLET SERGEI FILIN COMPANY WITH THE COMPANY DANCERS



ფრანკ ანდერსენი ნიალა გოძიაშვილთან, გულნარა ხუბერაშვილთან და ნინო კერესელიძესთან ერთად
FRANK ANDERSEN WITH NIALA GODZIASHVILI, GULNARA KHUBERASHVILI AND NINO KERESLIDZE

მუქერიაც საზეიმოდ შეუდგა საქმეს; ის თითქმის თავად ცეკვავდა.

ბურნონვილი ყოველთვის დაინტერესებული იყო რუსეთით და 1869 წელს ქვეყანას ტურისტის რანგში ეწვია. ის მოჯადოვებული დარჩა როგორც ხალხური, ისევე საბალეტო ტრადიციებით და მოსკოვში ყოფნისას სიამოვნებით შეხვდა მარიუს პეტიპას, რომელსაც ახალგაზრდობაში შეხვედროდა. ისტორიული ფაქტებისა და სცენარის გამოგონილი ნაწილების გაერთიანებით ანდერსენი ბალეტის ამ ორი გიგანტის შეხვედრას აღდგენის საფუძვლად იყენებს. მოსკოვში, დიდი თეატრის ფოიეში, პეტიპა ბურნონვილს წარჩინებულის ისტორიას უყვება, რომელიც ქალიშვილთან ერთად ციმბირშია განდევნილი; ეს უკანასკნელი მოსკოვში დაბრუნებას ახერხებს და დიდი თავადის ქალის, მარია ფეოდოროვნას წინაშე ცეკვავს. მარია დანიის პრინცესაა, რომელიც მომავალ მეფეზეა დაქორწინებული. მას ბურნონვილი ბავშვობაში ბალეტს ასწავლიდა. პირველი მოქმედება განდევნილთა ქოხში ხდება, ციმბირში.

ნატალიას გულისსწორი ოფიცრის, ასევე განდევნილის, არმიაში დაბრუნების ცნობა ზეიმის საბაბი ხდება, რომლის შედეგადაც ის მამა-შვილთან ერთად მოსკოვში გარბის. ამ ზეიმისას კაზაკებს მათი ცეკვების შესრულების საშუალება ეძლევათ. დამატებითი ნაწილია (რომელიც ნამდვილად არ იქნებოდა თავდაპირველ ვერსიაში) ქართული ეროვნული ცეკვები, რომლებსაც ხუთი და ექვსი წლის მოცეკვავეები ასრულებენ. ისინი მუხლებზე ტრიალებენ, ფეხის წვერებზე ცეკვავენ ტყავის თხელ ჩექმებში და სრული სერიოზულობით ასრულებენ ილეთებს. მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა.

მეორე მოქმედება მოსკოვის სამეფო კარზე მიმდინარეობს. დაგეგმილია წვეულება, რომლისთვისაც პეტიპა ევროპის მდინარეების დივერტისმენტს ამზადებს. სცენა შთამბეჭდავია. დავით მონავარდისაშვილის დეკორაციები გულუხვადაა შესრულებული, ვასილიევის კოსტიუმები კი – მდიდრულია. განათება ჩვენი სამეფო ოპერის თეატრის წარმომადგენლის,

Andersen and Ananiashvili have known and worked with each other for over twenty years. On becoming artistic director of the State Ballet of Georgia, the famed ballerina told Andersen that she would like to stage a Danish ballet that no one else was performing.

Frank's suggestion was to reconstruct *From Siberia to Moscow* despite there being very little record left remaining since its last performance in 1905 – just one page of libretto and a crackly film dating from 1905 showing the *Jockeys' Dance* from Act 2, which Andersen had revived as a party piece in the 1970's.

“Falling Angels” ტექნიკურად რთული ასათვისებელია. ჩვენს მოცეკვავეებს კილიანის ბალეტებზე მუშაობის გარკვეული გამოცდილება თუ ეხმარებათ?

ჩემი აზრით, მათ “Sechs Tänze”-ზე მუშაობა დაეხმარათ, რადგან აქაც მსგავსი მოძრაობებია, ძირითადად იატაკზე. როგორც ნინო ოჩიაურმა მითხრა, “Sechs Tänze” მათი პირველი გამოცდილება იყო ასეთი სტილის მოძრაობებში. თუმცა ზოგადად “Falling Angels” სხვა ტიპის ნაშრომია. ვფიქრობ, ყოველი მათგანი ცდილობს, ბალეტზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს ინტერნეტიდან.

“Falling Angels” მეტად თავისებურ მუსიკაზეა დადგმული. დადგმის დროს ესეც გარკვეული სირთულეა ალბათ.

თავდაპირველად ისინი იმდენად იყვნენ დაკავებულნი ცალკეული მოძრაობების შესწავლით, რომ მუსიკაზე აგვიანებდნენ, ახლა კი ასწრებენ მას – ავინყვებთ მუსიკის მოსმენა და ტემპზე წინ არიან (ილიმის). თუმცა ვფიქრობ, ხვალ ყველაფერი იდეალურად იქნება.

ამ ბალეტის თავისებური მუსიკა და განათება დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ალბათ, ასეც იყო ჩაფიქრებული...

როდესაც ირუი ახალ ბალეტზე მუშაობს, შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა, რამდენად კარგი გამოვა ის. მას უყვარს სტუდიაში მუშაობა, თუმცა ხშირად არ გვანდობს იდეებს, რადგან არ სურს, ჩარჩოებში მოგვაქციოს და ცდილობს, მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით განვითარდეს. განათებას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ბალეტებში – სტუდიაში შეიძლება დიდი სამუშაო გასწიო, თუმცა სცენაზე გამოსვლისას, განათების წყალობით, თითქოს ახალ კოსტიუმს იცვამ და გარშემო მაგიური სამყარო ჩნდება.

წარმატებებს გისურვებთ და მომავალი თანამშრომლობის იმედი გვაქვს.

გმადლობთ. მოცეკვავეები კარგად მუშაობენ, ასე რომ, ვინ იცის...

თარიღი

Date

ირინა ბაგაური

სპეციალურად „არაბესკისთვის“ იტალიიდან

IRINA BAGAURI

for Arabesque from Italy



დიაგილევის
იყსყრი სეზონების
სარიყბირელ

For the Anniversary of
Diaghilev's Russian Seasons

Arabesque

სარგბი დიღილევსი დი კიბი, ლ. ბაქსტის ნახატი, 1906
SERGEI DIAGHILEV AND HIS NANNY BY L. BAKST. 1906

101



ნლის წინ, 1909 წლის 19 მაისს, პარიზში, შატლეს თეატრში, ევროპელი მაცურებელი პირველად გაეცნო რუსული ცეკვის ხელოვნებას. მეოცე საუკუნის დამდეგს რუსმა იმპრესარიომ დიაგილევა საკუთარი დასის იგვლივ იმ დროს უკვე სახელმწიფოებრივი ადამიანები შემოიკრიბა, რომელთა გვარების ჩამოთვლაც კი ქმნის წარმოდგენას ამ სეზონების მნიშვნელობაზე. ბალეტის მუსიკას მისი დასისათვის სტრავენსკი, პროკოფიევი, დებიუსი, რაველი ქმნიდნენ. ბალეტებს კი – ფოკინი, ვაცლავ და ბრონისლავა ნიჟინსკები, მიასინი და ჯორჯ ბალანჩინი დგამდნენ. ამ სეზონების მთავარი გმირები კი მაინც, ალბათ, კლასიკური ბალეტის ორი ყველაზე დიდი ლეგენდა: ვაცლავ ნიჟინსკი და ანა პავლოვა იყვნენ!

თუმცა, მეოცე საუკუნის დასაწყისში, როგორც ნებისმიერ ნოვაციას, დიაგილევას სეზონების რეფორმატორული სტილის ბალეტებსაც მაცურებელი არაერთგვაროვნად შეხვდა, როგორც თავის დროზე ვენეციის „ფენიჩეში“ გამართულ ვერდის „ტრავიატას“ პრემიერასა თუ უკვე შემდგომში პარტერიდან, მაცურებლის რიგების გავლით, სცენაზე ასულ პირანდელოს „ექვს პერსონაჟს“.

ახალ სპექტაკლებში მაცურებელმა ზღაპრულ სიუჟეტებთან ერთად, დიდი დოზით იხილა ტკივილი, ვნება, სისასტიკე, ის, რითაც სავსეა ჩვენი სინამდვილე. ყველაზე სასტიკი ალბათ მაინც სტრავენსკის „კურთხეული გაზაფხული“ აღმოჩნდა (ვაცლავ ნიჟინსკის ქორეოგრაფია). შემდეგში ეს ბალეტი სხვადასხვა ქორეოგრაფების შთაგონების წყარო გახდა. ის სხვადასხვა ინტერპრეტაციით წარმოგვიდგინეს მორის ბეჟარმა, პინა ბაუშმა და ანჯელინ პრელჟოკაჟმა. მათ ბალეტებში უფრო მეტია ძალადობა და სიშიშველე, მაგრამ ყველაფერი ბუნებრივია. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ აღმოჩნდებოდა ისეთი წინასწარმეტყველური, როგორც ნიჟინსკის ქორეოგ-

რაფია. პრემიერიდან რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთში სისხლიანი მსხვერპლშენიერვის სახალხო რიტუალი კვლავ განმეორდა, ამჯერად ბოლშევიკების მსხვერპლი სამეფო ოჯახი გახდა. ნიჟინსკი თავის დღიურებში მტკივნეულად იხსენებს რომანოვების მკვლელობის ამბავს: „მე ვიცი, რომ მეფე ადამიანია, ამიტომ არ მინდოდა, რომ მოეკლათ, მე მის მკვლელობაზე ყველა უცხოელს მოვუყევი. მე ვწუხვარ მეფის გამო, ის ადამიანი-მხეცების მსხვერპლი შეიქნა, მხეცები ბოლშევიკები არიან“.

ნიჟინსკი წერდა იმაზეც, რომ მაცურებლის დაკვეთა ყოველთვის განსხვავდებოდა იმისგან, რისი გადმოცემაც თავად მას სურდა: „მე მუშინია ადამიანების, რადგან მათ ჩემი ესმით, მაგრამ ვერ მგრძნობენ. მათ უნდათ, ისევე ვიცხოვრო, როგორც თავად ცხოვრობენ, მხიარული ცეკვები შევუსრულო. მე არ მიყვარს მხიარულება, მე ცხოვრება მიყვარს“. დრო იცვლება, გემოვნება და მოთხოვნილება კი როგორც ჩანს – არა. რუსული სეზონის დადგმებსაც, შესაბამისად, ორგვარი ბედი ეწია: ზოგს გაუმართლა და ასი წლის განმავლობაში სცენიდან თითქმის არ ჩამოსულა. ისეთებს კი როგორც „პეტრუშკა“ იყო, მაცურებელი თავიდანვე არ სწყალობდა. რამდენიმე მივიწყებული სპექტაკლი 90-იან წლებში მხოლოდ პარიზის ოპერამ აღადგინა და ცალკე დისკად გამოსცა.

საიუბილეო წელსაც თითქმის იგივე განმეორდა. აღნიშვნა სხვადასხვაგვარად მოხდა: თეატრებმა აღადგინეს ბალეტები, ევროპის წიგნის მაღაზიებში შეხვედებით წიგნებს რუსული ბალეტების ფრანგულ სეზონებსა თუ მათ გმირებზე. პომპიდუს ცენტრის ბოლო სართულზე, სხვა პრესტიჟულ საექსპოზიციო სივრცეებთან ერთად, მოდილიანისა და კანდინსკის ტილოების გერდით საპატიოდაა გამოფენილი ამ მოვლენასთან დაკავშირებული საუკუნოვანი ხელნაწერები თუ ჩანახატები. საიუბილეოდ გადაიღეს ფილმები. ბევრს წერდნენ ჟურნალებსა თუ სხვა გამოცემებში.



ირმა ნიორაძე, ვიტო მაცეო. „შაჰერაზადა“
IRMA NIORADZE, VITO MAZZEO. "SHEHERAZADE"

დიაგილევის სეზონის საიუბილეო დღეებში ქართულმა გვარებმაც გაიჟღერეს: პარიზში, შანზ-ელიზეს თეატრში, რომელიც თავის დროზე რუსული დასის ორიგინალურ სპექტაკლებს მასპინძლობდა, ირმა ნიორაძემ სპეციალურად ამ დღეებისათვის აღდგენილი ბალეტით – „თამარით“ მიაგო ამ მოვლენას პატივი. ფოკინის ბალეტების ერთ-ერთმა საუკეთესო შემსრულებელმა გასულ წელსაც გაახარა მისთვის უკვე კარგად ნაცნობი რომაელი მაცურებელი (ნიორაძე წლებია, რომის ოპერის მოწვეული სოლისტია) და წამყვანი პარტიები იცეკვა „ფასკუნჯსა“ და „შეჰერეზადაში“.

ძალიან საინტერესო იყო შანელის სახლში ელენე გლურჯიძის მიერ შესრულებული მომაკვდავი გედი, რომელიც მან კარლ ლაგერფილდის მიერ საგანგებოდ ამ იუბილისადმი შეკერილ, ძვირფასი თვლებით მორთულ, ორიგინალურ „პაჩკაში“ იცეკვა. დახურულ სალონში გამართული ეს ულამაზესი წარმოდგენა უამრავმა ადამიანმა იხილა, ჩანანერის ნახვა რამდენიმე დღეში ინტერნეტის საშუალებითაც გახდა შესაძლებელი.

თუ ბევრმა ევროპულმა თეატრმა დიაგილევის ბალეტების იუბილე ძირითადად ფოკინის ზღაპრულსიუჟეტისანი ულამაზესი დადგმებით აღნიშნა, რომის

One hundred and one years ago, on May 19 1909, in Paris, at the Chatelet Theatre, European audience witnessed the Russian dancing art for the first time. In the beginning of the XX century the Russian impresario Diaghilev united the already great people around his company – even the mention of their names would be enough to make an impression about the importance of these seasons. The ballet music for his company was being created by Stravinsky, Prokofiev, Debussy, Ravel, while ballets were staged by Fokine, Vaslav and Bronislava Nijinskys, Massine and George Balanchine. Probably the main characters in these seasons were the two biggest legends of the classical ballet: Vaslav Nijinsky and Anna Pavlova!

Although, in the beginning of the XX century, as any innovation, Diaghilev's reformatory ballets were met with controversy from the audience. Just like the premiere of Verdi's *Traviata* in Venice's Fenice, and later the ascend of the *six characters* of Pirandello to the stage via the audience hall.

The new shows presented pain, passion, cruelty, along with the fairytales, to the spectator. Everything that our reality is full of. Stravinsky's *The Rite of Spring* (choreography by Vaslav Nijinsky) was probably the most cruel. Later this ballet became source of inspiration for various choreographers. The topic was presented with different interpretation by such great choreogra-

phers as Maurice Bejart, Pina Bausch and Angelin Preljocaj. In their ballets there is more violence and nudity, although everything is natural. But none of them could have been as prophetic as Nijinsky's choreography. In a few years after the premiere the bloody public immolation in Russia happened once again. This time the royal family was the victim of the Bolsheviks. Nijinsky recalls this painful event in his diary: *I know the King is human, that is why I did not want him to be killed. I told every foreign person about his murder. I feel sorry for the King, he became the victim of beasts, Bolsheviks are beasts.*

Nijinsky also wrote that the audience's wish always differed from what he wanted to relay: *I am afraid of the people, because they bear me, but do not feel me. They want me to live as they do, to dance happily for them. I do not love festivities, I love life.* Time changes, taste and need seem not to. The stagings of the Russian Seasons had double fate: some of them were lucky and have been on stage for one hundred years, while the audience had not been kind to others, like *Petrushka*. Several forgotten performances were reconstructed and issued on a separate CD in 90s, only by the Paris Opera.

That is what happened on the Anniversary year too. Celebrations were different: the theatres reconstructed ballets; book shops of Europe presented books about the French Season of

ოპერამ გამონაკლისი დაუშვა. ლეგენდარულმა კარლა ფრაჩიმ, თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა, გაბედა „რუსული სეზონის“ ყველაზე მივიწყებული სპექტაკლების აღდგენა და 74 წლის ასაკში მათში მონაწილეობაც კი მიიღო.

ამ საღამოებს ანშლავით არ ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის ადმინისტრაციამ ბილეთებზე ფასდაკლება გამოაცხადა, დიაგილევის ბალეტები არაკომერციული პროექტი გამოდგა. ქალაქში, რომელსაც ყოველწლიურად მილიონობით დამთვალიერებელი სტუმრობს და წარმოდგენებზე ბილეთები რამოდენიმე თვით ადრე იყიდება, თავი არავის შეუწუხებია თეატრის აფიშის უღიმღამო სათაურებით დაინტერესებულიყო.

რომის ოპერის თეატრს კარგი აკუსტიკა აქვს. განსაკუთრებით კარგად ისმოდა მაცესტრო კოლეშანის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული სტრავენისკისა თუ დეზიუსის მუსიკა. სცენაზე კი პიკასოსა და მატისის სცენოგრაფიასა და კოსტიუმებში, სასაცილო კუბისტური არსებები დემონსტრაციულ, საპროტესტო პარადებს აწყობდნენ, პეტერბურგის ბაზრის მარიონეტები ეჭვიანობისგან კედლებს აწყდებოდნენ და ცხარე ცრემლად იღვრებოდნენ. პარიზულ სალონებში მარგალიტის მძივებასხმული ქალბატონები კეკ-

ლუცად აწონებდნენ თავს კავალრებს, დასიცხულ და მცონარე ფაუნას აუტანლად უნდოდა ნიმფა. გაზაფხულის სასტიკი რიტუალის დასრულების შემდეგ კი, სანამ გონს მოვეგებოდი, დიდხანს იყო გარინდული მთელი დარბაზი. ბოლოს, ამოვისუნთქეთ თუ არა, ჩემს გვერდით მჯდომი ასაკოვანი ქალბატონი მომიბრუნდა და გულწრფელად იკითხა: „და მაინც, ეს რუსები, ცუდი ხალხია, თუ არა?!“



the Russian ballets and their characters; on the last floor of Pompidou Center, along with the prestigious exhibition spaces, the Modigliani and Kandinsky works, the century-old scripts and sketches of this event are presented. Films were produced for the Anniversary. Magazines and publications wrote a lot.

During the Anniversary days of Diaghilev's Seasons, Georgian names were mentioned too: in Paris, at the Theatre des Champs-Elysees, which was hosting the original performances by the Russian Company, Irma Nioradze paid homage with the ballet *Tamara*, reconstructed for the event. One of the best performers of Fokine's ballets made the audience in Rome happy last year too (Nioradze has been the Guest Soloist of the Rome Opera for years), when she danced in *Firebird* and *Scheherazade*.

Another very interesting event was Elene Glurjidge's Dying Swan at the House of Chanel. She performed the number in a special, original tutu with precious stones, prepared by Karl Lagerfeld for the event. The beautiful performance in closed saloon was witnessed by numerous people, and the recording was available through the internet in a few days.

As most of the European theatres marked the hundred-year-anniversary of Diaghilev's ballets with Fokine's beautiful fairytale

stagings, the Rome Opera was an exception. The legendary Carla Fracci, the Artistic Director of the Ballet Company of the Theatre, dared to reconstruct the most forgotten performances of the Russian Season, and even performed in them herself, at the age of 74.

The halls for these evenings had not been full. Despite the fact that the Theatre Administration announced a discount for the tickets, Diaghilev's ballets proved not to be a commercial project. In the city which is visited by the millions of tourists annually and the performance tickets are sold out months ahead, nobody was interested in pale headers of the placards.

The Roma Opera Theatre possesses a good acoustics. Especially well was heard the Stravinsky and Debussy music, brilliantly performed by the maestro Coleman. The Cubist beings were marking the protest acts in design and costumes after Picasso and Matisse; marionettes of the St. Petersburg market suffered and cried of jealousy; ladies of the Paris saloons with pearly beads flirted with their cavaliers, the fauna in the middle of heat wished for nympho; and after the finishing of the Spring's cruel ritual, before the consciousness came back to us, the audience sat speechless. Finally, as we managed to catch the breath, an old woman beside me turned and asked with ingenuity: *Still, these Russians are bad people, aren't they?*

ტრიშა ბრაუნი (25 ნოემბერი 1936, ვაშინგტონი, აშშ), ამერიკელი პოსტმოდერნისტი, ქორეოგრაფი და მოცეკვავე.

1958 წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი ცეკვაში. 2000 წელს კი – დოქტორის ხარისხი. რამდენიმე ზაფხულის განმავლობაში ის ლუის ჰორსტთან ერთად სწავლობდა ამერიკის ცეკვის ფესტივალზე, რომელიც მაშინ კონექტიკუტის კოლეჯში იმართებოდა. 1961 წელს ნიუ იორკში გადასვლის შემდეგ ბრაუნი მოცეკვავე ანა ჰალპრინთან ვარჯიშობდა და ავანგარდული ჯუდსონის ცეკვის თეატრის თანადამაარსებელიც გახდა. ამ თეატრში ის ექსპერიმენტულ მოცეკვავეებთან – ივონა რეინერთან და სტივ პაქსტონთან მუშაობდა. 1970 წელს ბრაუნი ექსპერიმენტული ცეკვის კოლექტივის „გრანდ იუნიონი“ თანადამაარსებელი გახდა და დააარსა „ტრიშა ბრაუნის დასი“, რომელიც მალე ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე საცეკვაო ანსამბლი გახდა.

ტრიშა

– სახეცხაკიდან

Trisha

FROM THE ROOF

ალექსი ჩიღვინაძე
ALEX CHIGVINADZE

TRISHA BROWN (25 November 1936, Aberdeen, Washington, U.S.) is a postmodernist American choreographer and dancer.

Brown was born in Aberdeen, Washington, and received a B.A. degree in dance from Mills College in 1958. Brown later received a D.F.A. from Bates College in 2000. For several summers she studied with Louis Horst at the American Dance Festival, then held at Connecticut College. After moving to New York in 1961, Brown trained with dancer Anna Halprin and became a founding member of the avant-garde Judson Dance Theater in 1962. There she worked with experimental dancers Yvonne Rainer and Steve Paxton. In 1970 she cofounded the Grand Union, an experimental dance collective, and formed the Trisha Brown Company. Her company soon became one of the leading contemporary dance ensembles. Brown received a MacArthur Foundation “genius” grant in 1991.





დაუფინყარია ის განცდა, როცა კულისებიდან პირველად ვუყურე ბალეტს. უეცრად საოცრად ზღაპრულ სამყაროში აღმოვჩნდი. გაშეშებული ვიდექი სცენის საზღვარზე, საიდანაც მხოლოდ სხეულის ჰარმონიული, სინქრონული ენით მეტყველებდნენ. არც კი ვიცოდი რა დადგმა იყო. არც ის ვიცოდი, ვინ იყო კომპოზიტორი, ქორეოგრაფი. საერთოდ მგონი პირველად ვიყავი ბალეტზე. ჩემს გვერდით იდგნენ დალილი ბალერინები, მძიმედ სუნთქავდნენ. ზოგი სცენაზე გასასვლელად ემზადებოდა. იქ ჩემმა მეგობარმა მიმიყვანა, რისთვისაც დღემდე მისი მადლობელი ვარ.

პირველი, რაც თავში მომდის ბალეტზე, სწორედ ეს გარემოა. კლასიკური ბალეტისთვის საცნაური დარბაზი, დეკორაციები, განათება, მუსიკა, კოსტიუმები... თუმცა დღეს, ჩვენს პოსტმოდერნისტულ ეპოქაში, როცა თანამედროვე ქორეოგრაფიის საზღვრების გაფართოება მოხდა, ბალეტმა ისტერებ-მა სულ ახალ-ახალი, ალტერნატიული სივრცეების ათვისება დაიწყო.

მოდი, ტრიშა ბრაუნზე დავწერ. მშვენიერ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს ამერიკელებმა ხუმრობით „ტრიშა – სახურავიდან“ შეარქვეს. მისი ადრინდელი ცეკვები სწორედ ჩვეულებრივ თეატრალურ კონტექსტს მიღმა კეთდებოდა, ურბანულ ჯუნგლებში: სახურავებზე, ავტოსადგომებზე, მოედნებზე, ქუჩებში...

„Man Walking Down The Side Of A Building“ პირველად 1970 წელს რიჩარდ ნონასისა და ჯერ ბერკის მიერ შესრულდა. მოცეკვავეები, ალბინისტების აღჭურვილობით, ყოველგვარი ეშმაკობისა და ილუზიის გარეშე, მანჰეტენზე ერთ-ერთი შენობის კედელზე დაეშვნენ. სხეულზე მჭიდროდ მიკრული იარაღით ორი მოცეკვავე კედელზე მიდიოდა... ბუნებრივი აქტივობა – არაბუნებრივ გარემოში. ორიგინალური სივრცითი გადაწყვეტა. დაშვება ქვემოთ. გაჩერება – ფსკერზე.

თუ თანამედროვე ცეკვას, პირობითად ასეთი ფორმულით გამოვსახავთ: თანამედროვე ცეკვა = ასე ხომ მეც შემიძლია + ჰო, მაგრამ ვერ შეძლებ. ტრიშა, შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ: ტრიშა = ჩვეულებრივ მოძრაობებს + არასტანდარტულად მიწოდების უნარი.

უბრალოება და სიმსუბუქე ყოველთვის მისი ხელწერა იყო: საცეკვაო მინიმალიზმი, დაძაბულობის გარეშე განმეორებული ყოფითი, მოულოდნელი მოძრაობები, უბრალო გამვლელების სვლები, მშვიდი და სწორი გეომეტრია, მოთენთილი აერობიკიდან – შამანურ როკვამდე, კონტაქტური იმპროვიზაცია, სხეულის ბრძოლა დედამიწაზე, ტბებზე, სახურავებზე თუ კედლებზე...

ბრაუნი პირველი იყო, ვინც ცეკვისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების კვლევა დაიწყო. მთელ მის დეკორაციებს უკიდევანო ლურჯი ცა, ღრუბლები და 60-იანი წლების ნიუ-იორკი წარმოადგენს. ხანაც მის პერფორმანსს რობერტ რაუშენბერგი და სხვა ცნობილი მხატვრები აფორმებდნენ. მუსიკა – ქალაქის ხმაური, ბახი, ლაურა ანდერსონი, ჯონი კეიჯი და ა.შ.



I was an unforgettable feeling to watch ballet from the wings for the first time. Suddenly I found myself in a wonderful world. I stood still at the edge of the stage, from which the only language was that of the body, harmonious and synchronous. I did not even know what production it was. Or who the composer or choreographer were. I think it was my first ballet experience after all. Beside me were standing tired ballerinas, breathing deeply, some of them preparing to go out on stage. It was my friend who took me there, and I will be forever grateful to him.

This atmosphere is the first thing that comes to my mind regarding ballet. Familiar hall of the classical ballet, sets, lighting, music, costumes... although, in our postmodernist time, when the boundaries of the contemporary choreography have been expanded, balletmasters have started to conquer fresh, alternative spaces.

Let me write about Trisha Brown. A beautiful dancer and choreographer has been nicknamed "Trisha from the roof" in the

US. Her early dances took place beyond usual theatrical context, in urbanistic jungles: on roofs, car parks, squares, streets...

Man Walking Down The Side Of A Building was first performed by Richard Nonas and Jed Bark in 1970. The dancers descended on the wall of one of the Manhattan buildings with climbers' equipment, without any tricks or illusions. Two dancers with tools close to their bodies walking on wall... natural activity – in unnatural surroundings. Original space solution. Descend low. Stop – at the bottom.

If we formulate contemporary dancing as: Contemporary dance = I could do that + yes, but you cannot, Trisha can be represented as: Trisha = usual movements + ability for sub-standard representation.

Simplicity and softness have always been her signatures: dance minimalism, unexpected continuous movements performed

ერთი კრიტიკოსი აღწერს: მისი მრავალრიცხოვანი კომპოზიციები გვაგონებენ მტვერს მზის ნათელში და ასევე, ელემენტარული ნაწილაკების მოძრაობას ატომში. მათში არ არის ფაბულა, ფსიქოლოგიური თუ ემოციონალური კონტექსტი. ბრაუნის ცეკვა თითქოს – უნისექსის სფეროდანაა, აქ მოცეკვავეების სქესიც არ არის მნიშვნელოვანი. ცეკვა – ყველასათვის მისაწვდომია. მაგრამ ერთი შეხედვით ქაოტურ ცეკვებს მკაცრი, გამოუცნობი, გეომეტრიული კანონები გააჩნიათ, ჩაფიქრებული სურათი, რომლის სრულყოფილი აღქმაც, მხოლოდ ზევიდან დაკვირვებისას მიიღწევა. ზევიდან ხომ ყველაფერი გარკვევით მოსჩანს. ტრიშას დადგმები ისეთივე ზუსტი და განსაზღვრულია, როგორც არტერიაში სისხლის მიმოქცევა, ისეთივე ქაოტური – როგორც სიზმრების შემობრუნება ცნობიერებაში:

სართული ტყეში; კედელზე გასეირნება; დაგროვება; ქმნილებათა სახურავი; სპირალი; სტრუქტურირებული ნაწილაკები; ვარდნა, როგორც ერთი ისტორია; კიდევ ერთი ისტორია, როგორც ვარდნა; თუ თქვენ მე არ მხედავთ; ორფეოსი, მონტაჟი და დემონტაჟი; ნულისკენ მიბრუნება; დუმილის გეომეტრია; მე მიყვარს ჩემი რობოტები – აი, მისი დადგმების არასრული ჩამონათვალი. მისი დადგმების ეს სახელწოდებები სამეცნიერო დისერტაციების თემებს ჰგვანან.

ბრაუნი კლასიკური საოპერო ჰარმონიიდან თითქოს ძალიან შორს დგას. მაგრამ მის დადგმულ „ორფეოსში“ ადამიანის სხეულის ენა მაგიურად ერწყმის მომღერლების ხმას.

ბალერინები – უცნაური იეროგლიფები არიან, რომელთა გამოყენებით ქორეოგრაფები ნებისმიერი სირთულის ტექსტს წერენ. ტრიშა – იდეალურად ფლობს ამ დამწერლობას. მას აინტერესებს სხეული, როგორც სტრუქტურა. მაგრამ გვრჩება შეგრძნება რომ ცეკვის მნიშვნელოვანი ნაწილი კულისებში, აუდიტორიის ყურადღების მიღმა რჩება.

ტრიშა ბრაუნი პირველი ქორეოგრაფი ქალია, რომელმაც მაკარტურის საპატიო სტიპენდია მიიღო. მას მიენიჭა საფრანგეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენის რაინდის ტიტული. იგი ამერიკის ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრია.

ამ ხმამაღალი აღიარებების და ტიტულების, მისი წარმოდგენებისა და გამონათქვამების ფონზე (მის შესახებ დაწერილ აუარებელ კვლევაში გვხვდება ტერმინები მოლეკულური ფიზიკიდან თუ თანამედროვე ფილოსოფიიდან) ჩემთვის რჩება ქალის ვიზუალი, რომელიც მზის ჩასვლისას, მარტო ზის სახურავზე, რეპეტიციებისგან დაღლილი გაჰყურებს ქალაქს. მუქი ლურჯი წყვდიადიდან ღამეს მისთვის ფანჯრების ყვითელი კვადრატები და არხების ციმციმი მოაქვს. მან არ იცის რა იქნება ხვალ. ისევე როგორც არ იცის რა იქნება მის ცეკვაში შემდეგი მოძრაობა.



without stress, motoring of passers-by, calm and straight geometry, from tired aerobics to shamanic dance, contact improvisation, battle of a body on earth, lakes, roofs and walls...

Brown was the first to start studying the interdependency between dance and surroundings. All her sets are represented by boundless blue sky, clouds and New York of the 60s. Sometimes her performances were decorated by Robert Rauschenberg and other well-known artists. Music – city noise, Bach, Laura Anderson, Johnnie Cage and others.

One critic describes: her numerous compositions resemble dust in the light of the sun and movement of elementary particles in atom. There is no psychological or emotional context in them. Brown's dance seems to be from an unisex topic, where gender of the dancers does not matter. Dance is accessible to all. But the seemingly chaotic dances possess strict, undiscovered, geometric laws, plotted picture, which can only be perfectly understood after studying from the top. Everything is seen clear from the top after all. Trisha's stagings are just as precise and definite as blood movement in veins, just as chaotic as transition of dreams into reality.

Floor of the Forest; Walking on the Wall; Accumulation; Roof Piece; Spiral; Structured Pieces; One Story as in falling; Another Story as in falling; If You Couldn't See Me; Orfeo, Set and Reset; Turn to the Zero; Geometry of Silence; I Love My Robots; - an incomplete list of her stagings. The titles resemble topics of scientific dissertations.

Brown seems to be far from classical Opera harmony, although in her *Orfeo* body language blends with the singers' voice in a magical way.

Ballerinas are strange hieroglyphs, using which the choreographers can write text of any degree of difficulty. Trisha perfectly owns this script. She is interested in body as a structure. Although there is an impression that an important part of dancing is left in wings, beyond spectators' attention.

It has to be noted that Trisha Brown is the first female choreographer to be awarded the prestigious MacArthur grant. She has also received the Order of Arts and Letters of France, along many more awards that would be boring to list and read. She is Honorary Member of American Academy of Arts and Letters.

But still, after all these significant awards and titles, her impressions and quotes (numerous studies on her contain terms from molecular physics and modern philosophy), to me there is a visual of a woman sitting alone on roof at sunset, tired of rehearsals, looking down the city. The night brings yellow rectangles of windows and blinking of channels from the dark blue to her. She does not know what tomorrow is going to bring her, just as what the next movement in her dance is going to be. And I do not know why I wanted to end the article here.





იაგო – გურამ კუკულაძე. „ოთელიო“
IAGO – GURAM KUKULADZE. OTHELLO

გყხამ კუკულაძე

Guram Kukuladze

სახასიათო ცეკვების გამორჩეული შემსრულებელი და ამ სტილის ჩინებული პედაგოგი, რომელმაც ქართული ბალეტის მრავალი თაობა გაზარდა; უზადო გემოვნებისა და პრინციპების ადამიანი, რომელმაც 40 წელი იმუშავა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასში პედაგოგ-რეპეტიტორად. გურამ კუკულაძე, საინტერესო მოსაუბრე, ადამიანი, რომელსაც ბევრი აქვს გასასხენებელი და მოსათხრობი, ინტერვიუზე არცთუ ადვილი დასათანხმებელი აღმოჩნდა. მას კარგად ახსოვს ქართული ბალეტის ბევრი გამარჯვება და დღესაც გულშემატკივრობს მის აღზრდილ მოცეკვავეებს და ახალგაზრდებს:

A special performer of character dancing and a remarkable pedagogue of this style, raising many generations of the Georgian ballet; Person of impeccable taste and principles, who worked at the Ballet Company of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre for 40 years as pedagogue. Guram Kukuladze, an interesting speaker, person who has much to recall and tell, turned out not easy to set up an interview with. He remembers highs of the Georgian ballet well and still supports the dancers and young people raised by him:

მამა არ მახსოვს, ომში დაიღუპა. არ ვიცი ამის გამო თუ მაშინ ძალიან მოდაში იყო სამხედრო-საზღვაო ფლოტში უნდოდათ მემსახურა. მე ცეკვა მინდოდა, ოჯახში კი წინააღმდეგნი იყვნენ. მშველელად ბიძა გამომიჩნდა, კარლო კუკულაძე, რომელიც ოპერის თეატრის მთავარი მხატვარი გახლდათ. გადაწყვეტილება სწორედ მან მიიღო. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გამოცდაზე დავით ჯავრიშვილთან მომიწია გასვლა. ანურული ვიდექი ამ დიდი ხელოვანის წინაშე. ვენერა დოლიძემ, რომელიც თეატრის სოლისტი იყო და შემდეგში სასწავლებელში ქართულს გვასწავლიდა, მონაცემები შემომიწმა. 1948 წელი იყო. სასწავლებელში მიმიღეს.

თამარ ვიხოტცევას და სერაფიმა ვეკუას კლასში მუშაობა დიდი ბედნიერება იყო. ქართული ბალეტი დიდადაა დავალებული ამ ორი დიდი პედაგოგისაგან. მათ თაობები გაზარდეს. სასწავლებელი რომ დავამთავრე თეატრში მოვედი და 22 წელი ვცეკვავდი. ყოველი გამოსვლის დროს ველავდი, თითქოს პირველად ვდგამდი ფეხს სცენაზე, თითქოს სულიც მესუთებოდა. ეს განცდა ვისაც არა აქვს, ვფიქრობ, არ შეუძლია თქვას რომ ხელოვანია. სახასიათო პარტიების ცეკვას თავისებური ხელწერა სჭირდება. გულწრფელი უნდა იყო, გარდა იმისა, რომ გრძნობდემ მუსიკას, გქონდეს ინტუიცია და რაც

I do not remember my father, who fell in war. Can not say if it was because of this, or because serving in navy was in fashion back then, that they wanted me to enlist there. I wanted to dance, but the family was against it. My uncle, Karlo Kukuladze, the lead designer of the Opera House, helped me and decided my fate. At the choreographic school trial I was standing in front of David Javrishvili; Standing numb in front of this great dancer. My abilities were tested by Venera Dolidze, the soloist, and later our teacher of Georgian in school. It was 1948 and I was enlisted.

It was great to work in class of Tamar Vikhodtseva and Serafima Vekua. The Georgian ballet is indebted a lot to these great pedagogues, who raised generations. Upon the graduation I came to the Theatre and danced for 22 years. Felt nervous ahead of every performance, as if it was my first time. This feeling of missing a breath – I would say that people not experiencing it can not call themselves an artist. Performing the character dancing demands having a special signature. You must be sincere, feel the music, have intuition and, most of all, taste. I danced the Espada in *Don Quixote* for the first time. It was my second season at the Theatre. When I rushed onto the stage and Bauer looked upon me with her eyes, I felt blushes. I went through the rehearsal with Maria Bauer, and should have danced the performance with her, but she



სსპანური კაპრიციო. მაკა მახარაძესთან ერთად
THE SPANISH CAPRICCIO. WITH MAKHA MACHARADZE

მთავარია გემოვნება. პირველად ესპადა ვიცეკვე დონ კიხოტში. თეატრში ჩემი მეორე სეზონი მიდიდოდა. რეპეტიციები მარია ბაუერთან გავიარე, სპექტაკლიც მასთან უნდა მეცეკვა, მაგრამ სწორედ ამ დროს მან ცეკვას თავი დაანება. ჩვენ მუშაობას ერთად ვაგრძელებდით. ის – როგორც რეპეტიტორი, მე კი როგორც მოცეკვავე. სახასიათო პარტიებს მასთან ვამზადებდი, მაგრამ ყოველი პარტიის მომზადებისას ჩემი საკუთარი ხედვა მქონდა. ამაში არც მზღლუდავდნენ. მოცეკვავის 10 წლის სტაჟი მქონდა, როცა რეპეტიციები ჩამაზარეს. სახასიათო ცეკვებს ვამზადებდი. როცა მორიგი სეზონის პირველი სპექტაკლი ჩემს მოსწავლეს მისცეს მივხვდი, რომ „მისტურებდნენ“ და ცეკვას თავი დავანებე. მთლიანად პედაგოგ-რეპეტიტორობას მივუძღვენი ჩემი შემდგომი საქმიანობა. 15 ესპადა მოვამზადე. მათ შორის ბოლო და ერთ-ერთი საუკეთესო მიშა მენაზდე. რამდენმა მერსედესმა, ბოშამ, კასტანიეტებისა და ესპანური ცეკვების შემსრულებლებმა გაიარეს მომზადება ჩემთან. რეპეტიციის დაწყება არასდროს არ მიყვარდა. მეორე-მესამე რეპეტიციაზე უკვე ვხვდებოდი რა გამოვიდოდა და საერთოდ გამოვიდოდა თუ არა რაიმე. ვუყვებოდი ვინ როგორ ცეკვავდა, რა ქონდა დამახასიათებელი, მერე საკუთარს, ინდივიდუალურს ამოვქაჩავადი. მთავარი იყო მოცეკვევე ჩარჩოში არ მოქცეულიყო. თუ არ უხდებოდა, ძალიან კორექტულად ვეტყოდი. ვცდილობდი არც ერთი მათგანი ერთმანეთს არ დამსგავსებოდა. მამაკაცი კაცური უნდა ყოფილიყო, ქალი მომხიბლავი და როგორც რუსები იტყვიან „კოკეტლივი“ (რალაც ვერ მივაგენი ამ სიტყვის ზუსტ ქართულ თარგმანს).

ძალიან მიყვარდა კასტანიეტების ცეკვა „ლაურენსიადან“. ვახტანგ ჭაბუკიანის ამ გენიალურ ბალეტში შესანიშნავი ცეკვებია. გასაოცარია, როგორ მოახერხა მან ისე დაედგა ესპანური და ბოშური სახასიათო ცეკვები, რომ არც კი შეუსწავლია საგანგებოდ. მაგრამ გენიალურად გამოუვიდა.

ბატონი გურამის შესახებ საკუთარი აზრი მისმა ყოფილმა მოსწავლეებმაც გაგვიზიარეს:

ვასილ ახმეტელი,
ბალეტის წამყვანი სოლისტი:

ბატონ გურამთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ქორეოგრაფიულში სწავლის დროს მომიხდა. გამოსაშვები სალამოსათვის მასთან მოვამზადე პანადეროსის პარტია „ბაიადერადან“. ეს ურთიერთობა თეატრში გაგრძელდა და შემიძლია ვთქვა, რომ მეგობრობაში გადაიზარდა. მასთან მაქვს მომზადებული სახასიათო პარტიები – ესპადა „დონ კიხოტიდან“, ესკამილიო „კარმენიდან“... მასთან მხოლოდ ცალკეულ პარტიას კი არ ვამზადებდი, არამედ ვსწავლობდი ბევრ რამეს, რაც შემდეგში, როგორც მოცეკვავეს

დიდად დამეხმარა. სულ თან მდევს მისი რჩევები, რომ სახის შექმნისას ისე უნდა მუშაობდეს მოცეკვავე, თითქოს ფუნჯით დიდ ტილოს ქმნიდეს. ხელების მოძრაობა, გამომეტყველება, ტორსის მოძრაობები რაც მისგან ვისწავლე დიდად დამეხმარა შემდგომში, როცა მის გარეშე ვამზადებდი სხვადასხვა პარტიას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს თეატრს მისი სახით სახასიათო ცეკვების დიდი პედაგოგი ჰყავდა და მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო მას.

ნიალა გოძიაშვილი, წამყვანი რეჟისორი:

ბატონ გურამ კუკულაძის იშვიათი პროფესიონალიზმის წყალობით მრავალმა ახალგაზრდა მოცეკვავემ აიღვა ფეხი სცენაზე და შესაფერის წარმატებას მიიარნია. ბედნიერი ვარ, რომ მეც მივეკუთვნები მისი მოსწავლეების რიცხვს. ბევრი პარტია მაქვს ბატონ გურამთან მომზადებული. პედაგოგიური ნიჭით, დახვეწილი გემოვნებით და უსაზღვრო ენერჯით გამორჩეული ადამიანი, ამავე დროს საოცარი იუმორის გრძნობით, კოლეგიალურობით და იშვიათი კეთილგანწყობით იმასხურებდა პატივისცემას და სიყვარულს.

ესპადა - გურამ კუკულაძე. „ღონე კინოტი“
ESPADA - GURAM KUKULADZE. DON QUIXOTE



abandoned dancing. Although we carried on working together. She as repetitor, I as a dancer. I prepared the character roles with her, although still had my own vision of them. And I was not limited in doing so. I had been dancing for 10 years when rehearsals were handed over to me. I had been working on character dances, when another season's first performance was given to my pupil. I realised they were saying goodbye to me and finished dancing, dedicated myself to pedagogical work. Prepared 15 Espada role performers, among them the last and one of the best – Misha Menabde. Prepared so many Mercedes, Gypsies, Castanet and Spanish dance performers. Never loved the beginning of rehearsals. On the second or third rehearsal I already knew what would come out, if something would at all. I would tell the pupils stories of people dancing in various styles, and would then work on the specifics of the dancer. The main thing was for them not to be limited. If they were not a good character, I would carefully note it. I tried not to make them be like each other. A man should have been a man, a lady – charming and coquettish.

Loved the castanet dance from *Laurenzia*. There are wonderful dances in this masterpiece ballet by Vakhtang Chabukiani. It is stunning that he managed to stage Spanish and Gypsy dances without having studied them. But how great they are.

Mr. Guram's pupils also shared their views about him to us:

Vasil Akhmeteli, Leading Soloist of the Ballet Company

My relationship with Mr. Guram started when I was still back in the choreographic school. It was with him that I prepared the Panaderos role from *La Bayadere*, for the graduation evening. This relationship continued in the Theatre and I would say transformed into friendship. With him I prepared the character roles like Espada of *Don Quixote* and Escamillo of *Carmen*... But I did not just work on separate parts, but learn many of the things that later helped me as a dancer. In the back of my mind I always have his words about creating a character being similar to creating an art piece. Arm movements, facial expressions, torso movements learned from him have been very useful later on, when I prepared roles on my own. I believe that our Theatre has had a great character dancing pedagogue in him and would like to wish him good health.

Niala Godziashvili, Stage Manager

Many young dancers got acquainted to stage, and later became successful, thanks to the special professionalism of Mr. Guram Kukuladze. I am happy to have been one of his pupils. There were many roles that I prepared with him. A person with pedagogical talent, fine taste and boundless energy, and at the same time with a great sense of humour, collegiality and benignancy – he was subject to respect and love.

იე, სადაც სდუმან

პიხამიდეები...

საქართველოს კულტურის დღეებს ამჯერად ეგვიპტემ უმასპინძლა. ქართული სეზონის პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი და სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“, დელეგაციის ხელმძღვანელებთან ერთად, თბილისიდან კაიროში 30 იანვარს გაემგზავრნენ.

საქართველოს კულტურის დღეები 1 თებერვალს კაიროს ოპერის სასახლეში საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გამოსვლით გაიხსნა. საქართველოს საელჩომ კულტურის დღეების გახსნაზე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის, ინტელიგენციის, სამეცნიერო და სახელოვნებო წრეების მოღვაწეები, ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მოიწვია. შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს საქართველოსა და ეგვიპტის კულტურის მინისტრის მოადილეებმა მაკო ჭოლოშვილმა და ჰოსამ ნასარიმ.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა წარმოადგინა. თრეი მაკინტაერის „წამი გარდასახვამდე“ აფრიკული ლეგენდის საფუძველზეა შექმნილი. მელოდია რითმულია

და საკმაოდ ემოციური. თუ მაცურებელი ამ ბალეტს ოდნავ თავშეკავებული ემოციით შეხვდა, ბალანჩინის „სერენადამ“ დიდი ემოცია და მოწონება დაიმსახურა. პროგრამის ბოლო ბალეტი „საგალობელი“ ქართულ მელოდიებზეა შექმნილი. ბალეტის თითოეულმა ნაწილმა, მუსიკამ და ქორეოგრაფიამ მაცურებელი მოხიბლა. ისინი დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან მოცეკვავეებს. საღამო ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებულმა მრავალჯამიერმა დაასრულა.

ქართული კულტურის დღეების გახსნითი საღამოს განწყობა მეორე დღეს ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტმა გააგრძელა.

საქართველოს კულტურის დღეები ეგვიპტეში მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, რისთვისაც ყველაფერი გააკეთა ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ, პირადად ელჩმა ბატონმა გოჩა ჯაფარიძემ, დესპანმა ბატონმა გიორგი მესხიშვილმა და საელჩოს მეორე მდივანმა ნათია ავლოხაშვილმა.

დელეგაციის წევრებისათვის შედგენილი იყო სპეციალური კულტურული პროგრამა, რომელიც უძველესი ცივილიზაციის კულტურის მნიშვნელოვანი საოცრებების – ეგვიპტის პირამიდების, ტუტენხამონისა და სხვა ეგვიპტელი მმართველების საგანძურისა და სარკოფაგების, ძველი კაიროს სიძველეების დათვალიერებას გულისხმობდა.



Arabesque

Where the pyramids stand still...

This time the Days of Georgian Culture were hosted by Egypt. In frame of the program for the Georgian season, and with the organization of the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia, the Ballet Company of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre and the “Rustavi” ensemble set off for Egypt on January 30.

The Days of Culture were opened on February 1 at the Cairo Opera House with the performance of the State Ballet of Georgia. The Embassy of Georgia invited representatives of the Government of the Arab Republic of Egypt, of scientific and cultural societies, of the diplomatic corps. The audience was greeted by the Deputy Ministers of Culture of Georgia and Egypt, Mako Tchoghoshvili and Hossam Nassari.

The State Ballet of Georgia presented a one-act ballets evening. Trey McIntyre’s *Second Before the Ground* has been based on an

African legend. Melody is rhythmic and quite emotional. The audience met the ballet a bit cautiously, but Balanchine’s *Serenade* was received with much more emotion. The last ballet of the program, *Sagalobeli*, is staged on Georgian melodies. Every part of the work, music and choreography captured the watchers. They didn’t let the dancers out of stage for some time. The Mravalzhamieri by the “Rustavi” ensemble rounded off the evening.

Mood of the opening night was carried on by the “Rustavi” concert for the day two.

The Days of Culture of Georgia in Egypt were organized on a high level, fact to which the Embassy of Georgia to Egypt and Syria contributed heavily; the Ambassador himself, H.E. Mr. Gocha Japaridze, the Envoy Mr. Giorgi Meskhishvili and the First Secretary of the Embassy Ms. Natia Avlokhashvili.

For the members of the delegation a special cultural program was set up, which included tours to the wonders of ancient civilization – pyramids of Egypt, riches and sarcophagues of Tutankhamun and other Egyptian rulers, and the relics of old Cairo.



კაიროს ოპერის სახანო
CAIRO OPERA HOUSE



საქართველოს ელჩი გოჩა ჯაფარიძე
THE AMBASSADOR OF GEORGIA
H.E. MR. GOCHA JAPARIDZE



საქართველოს ნინო
AHEAD OF THE PERFORMANCE





"FALLING ANGELS"